# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/8

ქ. თბილისი 1 აპრილი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის ვახტანგ მეიფარიანის სახით და მეორეს შპს „ახალი სახლი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის გიორგი ჯანჯღავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქ.რუსთავის, ბალანჩივაძის ქ.N8-ში მდებარე სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (CPV 71320000) შედგენა.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1 445.00 (ერთი ათას ოთხას ორმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღურებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი - ზურაბ მარკოზაშვილი.

## 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1.

5.2 საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 5 აპრილამდე.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.
7.2 მომსახურების გაწევის განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადეცემა მიმწოდებლს, ხოლო ორი შემსყიდველს.

## 9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით.

**შემსყიდველი:**

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი 205 296 650
სახელმწიფო ხაზინა
კოდი : 707667116
ტელ: 2200220 (3023)

---

სამსახურის უფროსი ბ.ა.

ვახტანგ მეიფარიანი

**მიმწოდებელი:**

შპს „ახალი სახლი"
მის: ქ. რუსთავი, თბილისის ქ.39ა, ბ13
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბანკის BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 416310682
ანგარიში GE89BG0000000795305700
ტელეფონი: 591 33 33 58

---

ხელმძღვანელი ბ.ა.

გიორგი ჯანჯღავა